საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გურული კობა (კუკური) ელგუჯას ძე

გურული კობა (კუკური) ელგუჯას ძე (23. VI. 1930, სოფ. ქვედა საქარა, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 9. IV. 2010, თბილისი), მოქანდაკე, ოქრომქანდაკებელი. თანამედროვე ქართ. ჭედური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართვ. დამს. მხატვარი (1967). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1956). მისი პედაგოგები იყვნენ შ. მიქატაძე და კ. მერაბიშვილი. **გ**-ის ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია თემატიკის მრავალფეროვნება, ფორმის მოქნილობა, ძლიერი ნახატი, დახვეწილი კომპოზიცია; ლითონმქანდაკებლობაში დანერგა მრავალი ახ. ტექ.-მხატვრული ხერხი, შექმნა მოჩარჩოების რამდენიმე ორიგინ. ფორმა. სამუშაო მასალად იყენებდა სხვადასხვა სახის ლითონს, ქმნიდა რელიეფურად ამოყვანილ სამკაულებს, წიგნის ყდის მოჭედილობებს, ლითონის დაზგურ ქანდაკებებს და მონუმ.-დეკორ. ქანდაკება-პანოებს. ნამუშევართაგან აღსანიშნავია: ციკლი ქართ. სოფლის ცხოვრების თემაზე „მიწა და ადამიანები“ (1963–74, ავტორის კუთვნილება); მონუმ. ქანდაკება „ავთანდილის სიმღერა“ (1965, თბილ. მუს. თეატრისათვის); იზმირის მსოფლიო გამოფენაზე საქართვ. პავილიონის მხატვრული გაფორმებისათვის შექმნილი ფრიზი (1965); ჭედური კომპოზიციები („მედეას მოტაცება“, „რუსთაველი და ვეფხვი“, „თინათინის სიმღერა“, „სინაზე“ და სხვ.) საოკეანო ლაინერის „შოთა რუსთაველის“ ინტერიერისათვის (1966); ლითონის ქანდაკება-პანოები („თამარი“, „ბექა და ბეშქენ ოპიზრები“, „სულხან-საბა ორბელიანი“, „რუსთაველის ფრესკა იერუსალიმში“) ქართული ენციკლოპედიის რედაქციის ინტერიერისათვის (1968), პანოები ლაინერისთვის „აჭარა“ (1968) და სხვ. **გ**-ის პერსონალური გამოფენები მოეწყო თბილისში – ორჯერ (1970, 1973), გერმანიაში, იუგოსლავიაში, უნგრეთში, მოსკოვში, ლენინგრადში და სხვ.